სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

06.08.2015 № 149

თბილისი

დოქტორანტურაში მიღების
გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 15 ივლისის № 1628 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე.
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსს დ.ბიბილეიშვილს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში 2015 წლის 1 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით (იხ.დანართი).
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ს კანცელარიას;
5. გამოცდა უცხოურ ენაში ჩატარდეს 14 სექტემბერს სტუ-ს საგამოცდო ცენტრში, სტუ-ს I კორპუსი, კოსტავას ქ. 68. საპრეტენზიო განცხადებების მიღება და მათი განხილვა იმავე დღეს, გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 14 სექტემბერს;
6. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებში ჩატარდეს 2015 წლის 15 სექტემბერს 12 საათიდან;
7. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2015 წლის 15 სექტემბრიდან 16 სექტემბრის 13 საათამდე, მათი განხილვა 16 სექტემბერს 14 საათიდან;
8. საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ა. წ. 17 სექტემბერს;
9. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2015 წლის 18 სექტემბერს;
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს.
11. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე რექტორი ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

1. სამშენებლო ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 430 ა
   მ.კოსტავას 68; საკონტაქტო ტელეფონი - 599 17 98 23;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - სტუ-ს VIII კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 410; მ.კოსტავას 77
   საკონტაქტო ტელეფონი - 593 39 31 32

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - სტუ-ს III კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 306, მ.კოსტავას 77
   საკონტაქტო ტელეფონი - 238 00 50

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - სტუ-ს X კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 401, მ.კოსტავას 69
   საკონტაქტო ტელეფონი - 551 31 64 68

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 550 ა, მ.კოსტავას 68
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 40 35

6. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, c ფლიგელი, მე-4 სართული, ფაკულტეტის დეკანატი
   საკონტაქტო ტელეფონი - 574 44 36 98

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-9 სართული , ოთახი 912 ა, მ.კოსტავას 77;
   საკონტაქტო ტელეფონი - 599 17 70 79

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-3 სართული , ოთახი 303 ა, მ.კოსტავას 77
   საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19;

9. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
   სტუ-ს I კორპუსი, c ფლიგელი, მე-6 სართული, ოთახი 602 მ.კოსტავას 68;
   საკონტაქტო ტელეფონი - 233 52 68